



ირაკლი ფალავა

გიორგი წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
mesefi@gmail.com



ხუაფის ლაკიდარული წარწერა (პალეოგრაფიული ნიშნებისა და წოდებულების დამატებითი ანალიზი)

ნაშრომის მიზანია, ხუაფის ლაკიდარული წარწერის დამატებითი ანალიზი, მისი დათარიღებისა და მასში მოხსენიებული პირის (პირთა?) ვინაობის დასადგენად. საქართველოს ზღვისპირა რეგიონში, აფხაზეთში შექმნილი და აღმოჩენილი ხუაფის წარწერა დღესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ამიტომ მოგვინია, წარწერა ფოტოსურათებით შეგვესწავლა. მოგვყავს ფილაქვისა და მასზე ამოღებული წარწერის აღწერილობა და მისი კვლევის ისტორია. სულ წარწერის სამნაირი ატრიბუცია არსებობს - ლეო შერვაშიძე და ლია ახალაძე თვლიან, რომ წარწერაში მოიხსენიება გიორგი II ლეონიდი და მისი ქალიშვილი გურანდუხტი; ვალერი სილოგავას მიხედვით - გიორგი III ბაგრატიდი; თეიმურაზ ბარნაველის მიხედვით - გიორგი I ბაგრატიდი, ბასილი ბიზანტიის კეისარი და კათალიკოსი მელქიზედეკი. გავანალიზებთ სამივე მოსაზრება, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები და წარწერაში მონარქის წოდებულების მითითება-არმითითების, როგორც ქრონოლოგიური მარკერის, სანდოობა. უარყავით თეიმურაზ ბარნაველის ვერსია (როგორც წარწერის შემონახული ფრაგმენტების შესაბამის); ასევე ვალერი სილოგავას ვერსია (პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე); ამასთანავე, პრაქტიკულად გამოვრიცხავთ წარწერაში გურანდუხტის სახელის წაკითხვას (რაც წარწერას მამამისის, გიორგი II ლეონიდის ზეობით დაათარიღებდა). ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლების პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე დავასკვნით, რომ წარწერაში მოხსენიებული მონარქი არის ან გიორგი II ლეონიდი, ან გიორგი I ბაგრატიდი.

საკვანძო სიტყვები: ხუაფის წარწერა, პალეოგრაფია, წოდებულება, გურანდუხტი, გიორგი მეფე

შუასაუკუნოვანი საქართველოს ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის ერთ-ერთი საუკეთესო და ძალიან საინტერესო ნიმუშია ხუაფის საალმშენებლო წარწერა. საქართველოს ზღვისპირა რეგიონში, აფხაზეთში შექმნილ ამ ლაპიდარულ ძეგლს არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. მიუხედავად ამისა, წარწერის შინაარსი და დათარიღება დისკუსიის საგნად რჩება. ჩვენი ნაშრომის მიზანია - ხუაფის წარწერის დამატებითი ანალიზი.

ვ. ავიძბასა¹ და ლეო შერვაშიძის პუბლიკაციების მიხედვით, აღმოჩენის გარემოებები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: მაღალმთიან სოფელ ხუაფის კოლმეურნეებმა მიროდ (მეროდ) გოჭბამ და არტემ (არსენ) ანქვაბმა ერთ-ერთი თანასოფელელის ეზოში რამდენიმე ქვის ნატეხი ნახეს, რომელზედაც რაღაც წარწერები და ნიშნები იყო. მათ დამატებით კიდევ რამდენიმე ნატეხი მოიძიეს (თუ სად, ვ. ავიძბას საგაზეთო სტატიაში დაკონკრეტებული არ არის, საფიქრებელია, ნაეკლესიარის ადგილას). ბოლოს, ხუაფის ხსენებულმა მცხოვრებლებმა ყველა მათგანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში მიიტანეს (Авидзба 1967; შერვაშიძე 1971, 94-97, 202-204).

ნატეხები ერთიან, კვადრატული ფორმის ფილაქვას ქმნის. ისინი აენყო, და, ჩანს, ექსპონირდა. წარწერა ოკუპირებულ რეგიონში, კერძოდ, აფხაზეთში ინახება; მისი უშუალოდ შესწავლა ქართველი მეცნიერისთვის შეუძლებელია. თუმცა, ხელმისაწვდომია წარწერის ოთხი ფოტო-გამოსახულება:

- ვ. ავიძბას საგაზეთო პუბლიკაციაში (ძალიან მდარე ხარისხის, მარცხენა მხარე ფოტოსურათზე ჩაჭრილი და ჩაბნელებულია) (Авидзба 1967);
- ლეო შერვაშიძის სტატიაში (დამაკმაყოფილებელი ხარისხისაა) (შერვაშიძე 1971, 94);
- ინტერნეტში, ვიკიპედიაში; ეს ფოტოსურათი გადაღებული 2007 წლის აგვისტოში² „სოხუმის მუზეუმში“ (“Sukhum Museum”), მომხმარებელ Alaexis-ის მიერ (Alaexis 2007); სურათი მკრთალია, მაგრამ საკმაოდ მაღალი გარჩევადობისაა³ და იძლევა

1 ვერ დავადგინეთ, ეს იყო საბჭოთა ჟურნალისტი В.Авидзба, თუ В.Д. Авидзба, რომელმაც 1969 წელს საქართველოს სსრ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდებაზე, სახელწოდებით Проведение в жизнь крестьянской реформы в Абхазии, Сухуми, 1969 (თუ ეს ერთი და იგივე პირია?).


2 ხელმისაწვდომი ფოტოების მიხედვით, წარწერის ფიზიკური მდგომარეობა 1967-2007 წლების შუალედში არ გაუარესებულა.

3 სხვათა შორის, ფოტოზე კარგად ჩანს კედელზე დამონტაჟებული წარწერიანი ფილაქვის თანმხლები აბრა რუსულენოვანი ტექსტით „Фасадный камень со строительной надписью царя Георгия II, в которой упоминается и его дочь Гурандухт (сер. X века)“.

მის მიხედვით მუშაობის საშუალებას. ჩვენი ნაშრომის დასასურათებლად სწორედ ამ ფოტოს ვიყენებთ (სურ. 1);

- ფოტოსურათი მოყვანილი ეკატერინა ენდოლცევას წიგნში, რომელიც აფხაზეთის არქიტექტურულ პლასტიკას ეძღვნება; ფილაქვა გარკვეული კუთხით ზევიდან არის გადაღებული, მაგრამ მაღალი გარჩევადობისაა (Ендольцева 2020, 196).

მოგვყავს ფილაქვისა და წარწერის (სურ. 1) აღწერილობა. ფილაქვა პრაქტიკულად იდეალური კვადრატული ფორმისაა. ეკატერინა ენდოლცევას მონაცემებით, მისი ზომებია 42.5 x 43.5 სმ-ზე; რელიეფის სიმაღლე 1 სმ, ასოების ზომა საშუალოდ 2 x 2 სმ-ზე (Ендольцева 2020, 196).



სურ. 1

ფილაქვის ცენტრალურ ნაწილს იკავებს ბოლნური ჯვარი საფეხურიან საძირკველზე, რომელიც, სიმბოლურად, გოლგოთას განასახიერებს. ჯვარი რელიეფურია, სივრცე მის ირგვლივ კი ჩაჭდებულია ფილაქვის აშიებთან შედარებით. ხსენებული აშიები ერთგვარ ჩარჩოს ქმნის. ქვედა ნაწილში ფილაქვა საკმაოდ დაზიანებულია და შეუძლებელია გარკვევა, ჩაჭდული ნაწილიც ფილაქვისნაირად კვადრატულია, თუ ვერტიკალურად ორიენტირებულ მართკუთხედს წარმოადგენს, რომლის ქვედა ნაწილსაც გოლგოთა იკავებს. ფოტოთი მაინც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჩაჭდული ნაწილი

კვადრატულია. რამდენიმე ასომთავრული გრაფემა ჯვრის ზედა მკლავის მარცხნივ და მარჯვნივაა. ცალკე, არცთუ მოკლე წარწერა კი იწყება ჩარჩოს ზედა ნაწილში და, როგორც ჩანს, გრძელდება ჯერ ჩარჩოს მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა ნაწილში. ჩარჩოს ზედა ნაწილში წარწერა 2 სტრიქონადაა; მარცხენა ჩარჩოში კარგად იკითხება წარწერის 3 სტრიქონი, შემდეგ დაზიანებული ადგილია, სადაც ჩაეტეოდა 1 ან 2 სტრიქონი, შემდეგ ისევ ძალიან კარგად ჩანს 2 სტრიქონი, რომლის ქვევითაც ისევ დაზიანებაა; დაზიანების ქვემოთ, გოლგოთას ძირის დონეზე, მარცხნივ, განირჩევა რამდენიმე ასომთავრული გრაფემა; წარწერა მარჯვენა ჩარჩოში ბოლოვდება, სადაც მხოლოდ 5 სტრიქონია (სრულად ჩანს).

წარწერა ასომთავრულია. შეინიშნება სწრაფვა დეკორატიულობისადმი, გრაფემები მნიშვნელოვანწილად კიდურწაისრულია; ზოგიერთი გრაფემის - ჯანის, ვინის, ქანის, მანის, ფოტას - დაბოლოება ორკაპაა, რაც ხუაფის წარწერის თავისებურებას წარმოადგენს). განკვეთილობის ნიშნები ან დაშორება სიტყვებს შორის არ არის. ქარაგმის ნიშანი: განივი, კლაკნილი, კიდურწაისრული ხაზი. საზოგადოდ, მიუხედავად დეკორატიული ელემენტებისა, წარწერა საკმაოდ ულაზათოა, გრაფემების როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ზომები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება; რჩება შთაბეჭდილება, რომ წარწერა გაუნაფავი ხელოსნის მიერ არის შესრულებული.

ხუაფის წარწერამ სათანადო ყურადღება მიიპყრო. მას არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა, რომლებშიც ავტორებმა განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს. პირველად ეს წარწერა, მოკლე ინფორმაციის სახით, ვინმე ვ. ავიძბამ გამოაქვეყნა, 1967 წლის 7 ოქტომბერს, გაზეთში Советская Абхазия; ვ. ავიძბას ინფორმაციით, წარწერა ლეონიდე (ლეო) შერვაშიძემ წაიკითხა; ამ რუსულენოვან სტატიაში მოცემულია ნატეხებისგან აწყობილი წარწერის საკმაოდ უხარისხო ფოტო, და ზოგადად, გადმოცემულია წარწერის შინაარსის ლეო შერვაშიძისეული ინტერპრეტაცია (Авидзба 1967). 1969 წელს ამავე წარწერას მოკლე ინფორმაცია თავად ლეო შერვაშიძემაც მიუძღვნა; როგორც უკვე აღვნიშნეთ, მის ნაშრომს თან ახლავს წარწერის პატარა, მაგრამ საკმაოდ გარჩევადობის ფოტო, რომელზედაც წარწერის თითქმის ყველა გრაფემა საკმაოდ ადვილად იკითხება (შერვაშიძე 1971, 94-97, 202-204). შემდგომში ეს წარწერა განიხილა ვალერი სილოგავამ, ჯერ 1972 წლის სადისერტაციო ნაშრომში (სილოგავა 1972b, 156-157, წარწერა 122) და, შემდეგ, მცირე სხვაობით, ქართული ლაპიდარული წარწერების (II) კორპუსში, 1980 წელს (სილოგავა 1980, 142, წარწერა 164); თეიმურაზ ბარნაველმა, 1981 წელს (Барнавели 1981) და ლია ახალაძემ, 1999 წლის სტატიაში (ახალაძე 1999) და აფხაზეთის ეპიგრაფიკისადმი მიძღვნილ 2005 წლის მონოგრაფიაში (ახალაძე 2005, 147-154); ვალერი სილოგავამ 2006 წელს,

დამატებით, ოდნავ განსხვავებული ნაკითხვა შემოგვთავაზა (სილოგავა 2006, 282, წარწერა 20). შემდგომი პუბლიკაციები არაორიგინალურია და მათში ტირაჟირებულია ლია ახალაძისა და ვალერი სილოგავას მიერ შემოთავაზებული წარწერის ადრეული ინტერპრეტაცია და დათარიღება (მიბჩუანი 1999, 65-66; Гамахария 2009, 148; Виноградов, Белецкий, 2015, 95-96; Ендольцева 2020, 196-197, 294).¹

წარწერა, როგორც ეს სურათიდან ჩანს, ნაკლულია. აქედან გამომდინარე, მისი ზუსტი შინაარსის აღდგენა კვლევისა და ერთგვარი დისკუსიის საგანიც გახდა. წარწერის შინაარსთან და თარიღთან დაკავშირებით 3 განსხვავებული ვერსია იკვეთება (რომელთა ფარგლებშიც მეცნიერები ნაკლულ ადგილებს სხვადასხვანაირად ავსებენ).

1) თავდაპირველი ვერსიის თანახმად, რომლის ავტორიც ლეო შერვაშიძეა, წარწერაში მითითებული გიორგი არის გიორგი II ლეონიდი, დასავლურ-ქართული სახელმწიფოს („აფხაზთა სამეფოს“) მონარქი; წარწერაში, ჩანს, ასევე მოხსენიებულია მისი ქალიშვილი გურანდუხტი (შემდგომში ბაგრატ III ბაგრატიონის დედა) (შერვაშიძე 1971, 94-97, 202-204). ლეო შერვაშიძეს არა აქვს გამოქვეყნებული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი (წარწერის ტექსტიც კი არა აქვს გადმოცემული), მაგრამ ზოგადად, აღნიშნავს, რომ „წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთვნის X საუკუნეს“; ჯვრის რელიეფის სტილისტური ანალიზიც, ავტორის მოსაზრებით, იმავე პერიოდზე მიუთითებს (შერვაშიძე 1971, 94, 202). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლეო შერვაშიძისთვის ნამყვანია პალეოგრაფიული და სტილისტური ანალიზი; სწორედ მის საფუძველზე ასკვნის, რომ მოხსენიებული მონარქი არის გიორგი II (შერვაშიძე 1971, 94, 202). წარწერაში გურანდუხტის სახელის ამოკითხვა, ძეგლის, ასე ვთქვათ, პალეოგრაფიულ-სტილისტური კვლევით დათარიღების შედეგია: მოხსენიებული გიორგი „X საუკუნეში ... შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ გიორგი II (929-957) ... ხოლო თუ ეს ასეა, წარწერის ქვედა რამდენიმე ბუნდოვანი პნკარიც გაგებული უნდა იქნას, როგორც მოხსენიება ამ მეფის ასულის გურანდუხტისა“ (შერვაშიძე 1971, 94). ვ. ავიძბას პუბლიკაციაშიც, უეჭველია, ლეო შერვაშიძის კარნახით, მსგავსი, ოღონდ შებრუნებული მსჯელობაა - „Положение о том, что указанный на каменной плите

1 უცნაურია, რომ ანდრეი ვინოგრადოვი და დენის ბელეცკი თავის წიგნში ყოველგვარი განსჯის გარეშე, საკითხში ჩანვდომის გარეშე, ბრმად იზიარებენ ვალერი სილოგავას დათარიღებას, და უარყოფენ ლია ახალაძის მოსაზრებას და ამის საფუძველზე აძლევენ თავს უფლებას, იმსჯელონ ეკლესიის დათარიღებაზე. საზოგადოდ, რუსი ავტორების ეს ნაშრომი საკმაოდ ტენდენციურია. ასევე ნიშანდობლივია, რომ კიდევ ერთი რუსი ავტორი აფხაზეთში აღმოჩენილ ეპიგრაფიკული ძეგლებზე მსჯელობისას „მორცხვობს“ სიტყვა ქართული იხმაროს და ექსკლუზიურად ოპერირებს ტერმინით „ასომთავრული“ (თუმცა, ასახელებს ხოლმე „ბერძნულ წარწერებს“).

Георгий является именно Георгием II абхазским подтверждается вторым именем, фрагментарно высеченным на плите. Это имя - Гурандухт“ (Авидзба 1967).

ლეო შერვაშიძის ვერსია გაიზიარა და სათანადო არგუმენტაციით შეამაგრა ლია ახალაძემ, რომელიც დაეყრდნო ვ. ავიძბას პუბლიკაციას, და, დამატებით, ლეო შერვაშიძის მოწმობას პირად საუბარში (ახალაძე 2005, 148). როგორც ჩანს, აფხაზეთის ოკუპაციის ფაქტიდან გამომდინარე, პატივცემულ მკვლევარს არ ჰქონდა საშუალება, ფილაქვა de visu შეესწავლა (სარგებლობდა ვ. ავიძბას საგაზეთო სტატიის თანმხლები უხარისხო ფოტოთი?), ვინაიდან წარწერის ტექსტის გადმოცემისას არცერთ პუბლიკაციაში არ მოჰყავს გრაფემები ოსურ / ოსურ, რომელიც ფილაქვაზე, სხვა ფოტოების მიხედვით, კარგად ჩანს.

ლია ახალაძე ეყრდნობა ვალერი სილოგავას პუბლიკაციას (იხ. ქვემოთ) და წარწერას აღადგენს ორნაირად.

ადრინდელ, 1999 წლის სტატიაში ავტორი მაინც თავს იკავებს სახელ გუარანდუხტის აღდგენისგან; სიტყვას „ოდ(ე)ს“ მოჰყვება „[...]“ (ახალაძე 1999, 62):

[+] აღ(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)დ ე[სე ეკდესიად] [...] მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა) ხმ[ან], [.] მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იოხგ)დ(ს)სა ოდ(ე)ს [...] [დაი]ბადა [...] მ(ი)სსა.

წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)დ(ო)ზ, მ(ე)ოხ / ე(ყა)ვ წ(ინაშე) / ქ(ჩისგე)სა

2005 წლის მონოგრაფიაში კი წარწერა შემდეგნაირად წარმოსდგება (ახალაძე 2005, 148):

[+] აღ(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)დ ე[სე ეკდესიად] [...] მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა) ხმ[ან], [.] მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იოხგ)დ(ს)სა / ოდ(ე)ს [გ(უა)ხ(ა)ნდ(ე)ხგ] [დაი] / ბადა / [...] [...] მ(ი)სსა. /

წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)დ(ო)ზ, მ(ე)ოხ / ე(ყა)ვ წ(ინაშე) / ქ(ჩისგე)სა

წარწერის გიორგი II ლეონიდისადმი მიკუთვნებისას¹ ლია ახალაძე ეყრდნობა (ახალაძე 1999, 63-65; ახალაძე 2004; ახალაძე 2005, 149-153):

ა) ლეო შერვაშიძის (ვ. ავიძბას) მტკიცებას წარწერაში „ფრაგმენტულად“ გუარანდუხტის სახელის ამოკითხვაზე;

¹ ლია ახალაძე ავტორია ვრცელი ექსკურსისა ამ წარწერის, როგორც X საუკუნის აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლის ისტორიულ და ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობაზე (ახალაძე 1999, 63-66; ახალაძე 2005, 149-154).

ბ) პალეოგრაფიულ ანალიზს: მოჰყავს არგუმენტები, რომელთა თანახმადაც გრაფემების პალეოგრაფიული ნიშნები, კერძოდ, კიდურნაისრულობა, არ ეწინააღმდეგება წარწერის X საუკუნით დათარიღებას (ახალაძე 1999, 65);¹

გ) წოდებულებას; პატივცემულ ავტორს ჩამოყალიბებული აქვს მწყობრი კონცეფცია, რომლის თანახმადაც, „აფხაზთა მეფის“ წოდება გაჩნდა მხოლოდ ბაგრატ III-ის დროიდან, ქვეყნის გაერთიანების შემდეგ, როდესაც წარმოიშვა კიდევაც ეს საისტორიო ტრადიცია; თავად დასავლეთ საქართველოს (ქართლის დასავლეთი ნაწილითა და ჯავახეთითურთ) მონარქები თავის თავს უწოდებდნენ მხოლოდ „მეფეს“. წარწერაში მოხსენიებული გიორგი „აფხაზთა მეფობით“ არ იწოდება; შესაბამისად, ის გიორგი II ლეონიდი უნდა იყოს;

ამას უნდა დაემატოს ასევე

დ) ლეო შერვაშიძის მოსაზრება, რომ წარწერიან ფილაქვაზე ჯვრის რელიეფიც სტილისტურად X საუკუნეს განეკუთვნება (შერვაშიძე 1971, 94, 202).

2) არსებობს ასევე მოსაზრება, რომ წარწერაში მითითებული გიორგი არის გიორგი III ბაგრატიონი (1157-1184); ამ ვერსიის ავტორია ვალერი სილოგავა, რომელმაც წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნის II ნახევრით დაათარიღა და, შესაბამისად, გიორგი III-ს მიაწერა; დანწრილებითი არგუმენტაცია ავტორს მოყვანილი არა აქვს, უბრალოდ აღნიშნავს, რომ წარწერა შესრულებულია „მოგრძოდუქტუსით“ და „კიდურნაისრული დამწერლობით“ (სილოგავა 1972ბ, 156, წარწერა 122; სილოგავა 1980, 142, წარწერა 164; სილოგავა 2006, 282, წარწერა 20). პირადად ფილაქვა de visu, როგორც ჩანს, არ შეუწავლია (სარგებლობდა ვ. ავიძბას საგაზეთო სტატიის თანმხლები უხარისხო ფოტოთი?), ვინაიდან წარწერის ტექსტის გადმოცემისას არცერთ პუბლიკაციაში არ მოჰყავს გრაფემები ႠႠႡ / ႠႠႢ, რომელიც სხვა ფოტოსურათებზე კარგად ჩანს. 2 ყველა პუბლიკაციაში ჯვრის მკლავებთან მითითებული გრაფემები წაკითხულია როგორც ჟ(უარ)ჲ ქ(რისტ)სჲ. განსხვავებაა ძირითადი წარწერის წაკითხვაში. 1072 / 1080 წლების პუბლიკაციებში ვალერი სილოგავამ პირველმა მოიყვანა წარწერის ტექსტი ორ ვარიანტად; ორიგინალური, ასომთავრული დამწერლობით, ისევე როგორც, მისი ტრანსლიტერაცია მხედრულით; წაკითხვის მესამე ვარიანტი 2006 წლის პუბლიკაციაშია წარმოდგენილი:

1 ამავე ავტორს შესწავლილი აქვს აფხაზეთის ეპიგრაფიკაში ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასიათებლები (ახალაძე 2007, 32-39).

2 თუმცა, ასეთ შემთხვევაში, გაუგებარია, როგორ დაადგინა გრაფემების ზომა, რომელიც საგანგებოდ აქვს მითითებული - „ასოების სიმაღლე 2.5-1.7 სმ“.

1072 წლის ვარიანტი (სილოგავა 1972ბ, 156, წარწერა 122) -
[+] აღ(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)დ ე[სე ეკდესიაჲ] / მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა)ჰმ[ან]
/ მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა / გ(იოხგ)დ(ს)სა / ოდ(ეს) / [...] / [...] / [...] / [ღაი]ბადა
[წახსამაჰთებდაღ დღეთა] // [...] მ(ი)სსა.
წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ღ(ო)ზ, მ(ე)ოხ / ე(ყა)ვ წ(ინაშ)ე / ე(ჩისტც)სა
აჰ აჩის დაზუსტებული, და აბსოლუტუჲად გაუგებაჰია, თუ სად
აგვეს ავტოჰი 2 სიგყვას [წახსამაჰთებდაღ დღეთა];

1080 წლის ვარიანტში (სილოგავა 1980, 142, წარწერა 164) [წარსა-
მართებლად დღეთა] აღარ არის -

[+] აღ(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)დ ე[სე ეკდესიაჲ] / მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა)ჰმ[ან]
/ მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა / გ(იოხგ)დ(ს)სა / ოდ(ეს) / [...] / [...] / [...] / [ღაი]ბადა
// [...] მ(ი)სსა.
წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ღ(ო)ზ, მ(ე)ოხ / ე(ყა)ვ წ(ინაშ)ე / ე(ჩისტც)სა

2006 წლის ვარიანტში (სილოგავა 2006, 282, წახწეჲა 20) კი [წახ-
სამაჰთებდაღ დღეთა] სიგყვების მაგიეჰ ჩნდება [სადღეგჰდღოღ] -
[+] აღ(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)დ ე[სე ეკდესიაჲ] / მ(ა)მ(ადმ)თ(ა)ვ(ა)ჰმ[ან]
/ მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა / გ(იოხგ)დ(ს)სა / ოდ(ეს) / [...] / [...] / [...] / [ღაი]ბადა
// [...] [...] [სადღეგჰდღოღ] მ(ი)სსა.
წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ღ(ო)ზ, მ(ე)ოხ / ე(ყა)ვ წ(ინაშ)ე / ე(ჩისტც)სა

3) წარწერაში მითითებული გიორგი არის გიორგი I ბაგრატიონი (1014-1027); ამ ვერსიის ავტორია თეიმურაზ ბარნაველი (Барнавели 1981). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში დაბეჭდილ მის სტატიას,¹ წარწერის ფოტო არ ახლავს, თუმცა, ჩანს, ფილაქვა ან de visu ჰქონდა შესწავლილი, ან კარგი ფოტოგრაფიით ხელმძღვანელობდა, ვინაიდან წარწერის შემონახული გრაფემები ყველაზე სრულად აქვს წაკითხული (მათ შორის, ნიშანი + წარწერის პირველი სტრიქონის შემონახული ფრაგმენტის თავში - ჩანს მარჯვენა მკლავი, გრაფემები ႠႠႡ / ႠႠႢ მარცხენა მხარეს). თეიმურაზ ბარნაველმა მარცხენა მხარეს მდებარე გრაფემების ႠႠႡ / ႠႠႢ კომპლექსი წაკითხა როგორც [ბ-] / -ას(ი)ლისაგ(ა)ნ (ბანის არსებობა წინა სტრიქონის ბოლოში ივარაუდა); ეს ბასილი ჩათვალა ბიზანტიის იმპერატორ ბასილ ბულგართმმუსვრელად, ხოლო ქართველი მეფე გიორგისა და კეისარ ბასილის სახელების თანხვედრის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარწერაში მოხსენიებულია გიორგი I და მისი დამარცხება ბასილისგან; შესაბამი-

¹ რომელიც ამ წარწერისადმი მიძღვნილი სხვა ნაშრომების ავტორებისათვის, ჩანს, უცნობი დარჩა.

სად, ქვედა სტრიქონში „ბადას“ მაგიერ „ბოდას“ წაკითხვით, ტექსტი თეიმურაზ ბარნაველმა, აღადგინა როგორც „მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იორგ) დ(ს)სა, ოდ(ე)ს [ი-] / [-გი კ(ეისრი)სა ბ-] / -ას(ი)ლისაგ(ა)ნ / [იოტე-] / -ბოდა.“ ზედა სტრიქონში მამამთავრის სახელი, ავტორმა, შესაბამისად, აღადგინა როგორც „მელქისედეკ“ (თანადროული პატრიარქი), მარჯვენა სტრიქონის დასაწყისში კი აღადგინა ერთი დამატებითი სიტყვა „სულსა“: „[სულსა] / მ(ი)სსა / წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)- / -ლ(ო)ზ / მ(ე)ოხ / ეყ(ავ) წ(ინაშე) / ქ(რისტე)სა.“ წარწერაც, შესაბამისად, „1021-1027“ წლებით¹ დაათარილა (Барнавели 1981, 123-124).

ამგვარად, თეიმურაზ ბარნაველი წარწერას აღადგენს შემდეგნაირად (Барнавели 1981, 124-125):

+ აღ(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)დ ე[სე ეკდესიად] / მ(ა)მ(აღმ)თ(ა)ვ(ა)იმ[ან] [მედქისედეკ] / მეფობასა (sic) / გ(იოხგ)დ(ს)სა / ოდ(ე)ს [ი-] / [-გი კ(ეისრი)სა ბ-] / -ას(ი)ლისაგ(ა)ნ / [იოტე-] / -ბოდა. // [სულსა] მ(ი)სსა / წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)- / -ღ(ო)ზ, მ(ე)ოხ / ეყ(ავ) წ(ინაშე) / ქ(რისტე)სა.“

*

გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებსაც ამ ფილაქვის წარწერის დათარიღებასა და შინაარსზე.

პირველ რიგში, განვიხილავთ თეიმურაზ ბარნაველის ვერსიას. საზოგადოდ, გარკვეულ სკეფსის ინვევს ტექსტის დიდი ფრაგმენტების აღდგენის მცდელობა, რაც ყოველთვის საფრთხილოა და მიღებული შედეგებიც ყოველთვის არ არის ხოლმე სანდო. ამ შემთხვევაშიც, რატომ არის სწორი მარცხენა მხარეს ნაკლები ადგილის აღდგენა მაინცდამაინც როგორც „ბ-] / -ას(ი)ლისაგ(ა)ნ“, და არა როგორც „ას(უ)რი“ ან „-ა ს(უ)რი“ - ამგვარი წაკითხვის საშუალებას თავად ავტორიც ხედავს (Барнавели 1981, 123)? არადა, ეს არის თეიმურაზ ბარნაველის ლოგიკური კონსტრუქციის ერთადერთი ბაზისი. მისი მოშლის შემთხვევაში, მთელი კონსტრუქცია იმსხვრევა.

საზოგადოდ, ძალიან საეჭვოდ გვეჩვენება გიორგი I-ის საგამგებლო ტერიტორიაზე ეკლესიის აშენების დათარიღება მისი მარცხით, კერძოდ, მისი დამარცხებით ბასილი კეისრისგან. მსგავსი რამ ქართულ ეპიგრაფიკაში ჩვენთვის უცნობია; ატენის ცნობილი წარწერა ბუღა თურქის ლაშქრობისა და კახას მარტვილობის აღნიშვნით ანალოგიას არ წარმოადგენს, ვინაიდან, უბრალოდ ლაპიდარული ქრონოგრაფიული ცნობაა და არა რაიმე მოვლენის დათარიღება ბუღა თურქის ლაშქრობითა და ქართველი დიდებულის მარტვილობით (Джавახов 1912; სილოგავა 1974, 116); ერედვის

¹ უფრო ზუსტი იქნებოდა, უშუალოდ საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის წლებით დათარიღება.

ცნობილ წარწერაში კი აღწერილია 914 წელს დასავლურ-ქართული სახელმწიფოს მონარქის, კონსტანტინე მეფის წარმატებული ლაშქრობა ჰერეთში (შოშიაშვილი 1980, 170-172, წარწერა 76).

და ბოლოს, წარწერის ანალიზი საბოლოოდ და ცალსახად გამორიცხავს თეიმურაზ ბარნაველისეულ რეკონსტრუქციას. დავინწყით იმით, რომ ფოტოებზედაც ფილაქვის ზედაპირი სიტყვასთან „ოდ(ე)ს“ ძალიან კარგად ჩანს, ასე რომ „[ო-]“ იქ ვერ იქნებოდა და ჩასატანი ხდება ქვედა სტრიქონში (თუმცა, თეიმურაზ ბარნაველისგან განსხვავებით, ვთვლით, რომ იქ საკმარისი სივრცე იყო ორი სტრიქონის განსალაგებლად, ასე რომ, „[იგი კეისრისა ბ-]“ მაინც ადვილად ჩაეტეოდა, დაქარაგმების შემთხვევაში), მაგრამ, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, სიტყვებს („-ას(ო)ლისაგ(ა)ნ“ და „-ბოდა“) შორის საკმარისი სივრცეა ყველაზე ცოტა ორი სტრიქონის განსათავსებლად, და ამ სივრცეს „[იოტე-]“, ალბათ, ვერ შეავსებდა. მართალია, „-ბოდა“ თუ „-ბადა“ საკმაოდ გაშლილად წერია, ცალკეულ გრაფემებს შორის სივრცეა დატოვებული - ნუთუ მათ თავზე ამხელა სივრცეს მხოლოდ „[იოტე-]“ დაიკავებდა? და რამდენად რეალურია, ასე ხაზგასმით დაეწერათ მმართველი მონარქის დამარცხების აღმნიშვნელი სიტყვა? საზოგადოდ, ხომ არ არის გოლგოთას ძირის მარცხნივ საკმაო ინტერვალებით დაშორებული გრაფემები ცალკე წარწერის ნაწილი, რომელსაც არა აქვს კავშირი ძირითადი წარწერის ტექსტთან (როგორც, მაგალითად, ჯვრის მკლავებთან იზოლირებული წარწერაა ჯ(უა)ი ჯ(ჩისგც)სა)? და პირიქით, მარჯვენა მხარეს, სიტყვის „მ(ი)სსა“ თავზე ამკარად აღარ არის არანაირი სივრცე დარჩენილი, და ბარნაველისეული „[სუდსა]“ იქ ვერ ჩაეტეოდა (ისევე, როგორც ვერ ჩაეტეოდა სილოგავასეული „[სადღეგხძედოდ]“ თუ [წახსამახთებდად დღეთა]). ამრიგად, მკვლევრის მიერ მოყვანილი აღდგენა, არ შეესაბამება ფილაქვაზე წარწერის განლაგების არქიტექტონიკას.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, სრულად ვერ გამოვრიცხავთ, რომ წარწერაში მოხსენიებული „გიორგი“ გიორგი I-ია, მაგრამ არა თეიმურაზ ბარნაველის არგუმენტაციიდან გამომდინარე.

წარწერაში რომ მართლაც გურანდუხტის სახელი იკითხებოდეს, წარწერის გიორგი II ლეონიდისადმი მიკუთვნება უეჭველი გახდებოდა, მაგრამ რამდენად რეალურია წარწერაში გურანდუხტის სახელის თუნდაც „ფრაგმენტულად“ ამოკითხვა?

ეჭვი გვაქვს, რომ ლეო შერვაშიძემ წარწერის მარცხენა მხარეს არსებული გრაფემების ႠႠႠ / ႠႠႠ კომპლექსში ამოიკითხა სიტყვები ას(უ)დი და გ(უა)ნ- / [-დუხტი]. სწორედ აქედან წარმოდგება ამ წარწერაში გურანდუხტის სახელის წაკითხვის ტრადიცია, მაგრამ გრაფემების ამგვარი ინტერპრეტაცია საკმაოდ საკამათოა. ჯერ ერთი, გრამატიკულად ფრაზა ვერ გამოდის გამართული: ას(უ)დი- / -სა გ(უა)ნ- / [დუხტისა] [დაი-] / -ბადა ...

გარდა ამისა, ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ლაპიდარულ თუ ქედურ წარწერაში გვაქვს ბაგრატ III-ის დედის სახელი, ის სხვანაირად არის დაქარაგმებული:

გ(უ)ა(ან)დ(უ)ბ(უ)გ კუმურდოს წარწერაში (სილოგავა 1994, 48-49),

გ(უ)ა(ან)დ(უ)ბ(უ)გ ბედიის ბარძიმის წარწერაში (სილოგავა 2006, 313, წარწერა 2),

გ(უ)ა(ან)დ(უ)ბ(უ)გ ბაგრატის ტაძრის სამშენებლო წარწერაში (სილოგავა 1980, 52-53, წარწერა 33),

გ(უ)ა(ან)დ(უ)ბ(უ)გ ახალი სოფლის ეკლესიის („მანგლისიდან 7 კმ. მანძილზე“) წარწერაში (შოშიაშვილი 1980, 258-259, წარწერა 143)

და არა გ(უ)არა(ან)დ(უ)ბ(უ)გ, როგორც, დავუშვათ, ხუაფის წარწერაში; ეს, ცხადია, არ გამოორიცხავს, მაგრამ ამცირებს ალბათობას, რომ ხუაფის წარწერაში ნამდვილად გურანდუხტის სახელი იყოს დაქარაგმებული.¹

თუ წარწერაში საუბარია გურანდუხტის დაბადებაზე, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია ტექსტის გაგრძელება მარჯვენა მხარეს სიტყვით „მ(ი)სსა“ – „[დაი]ბადა მ(ი)სსა.“ – აშკარად, გაუმართავია.

უფრო მეტიც, საზოგადოდ, არ ვართ დარწმუნებულნი, რომ ის 4 ასომთავრული გრაფემა („ბადა“? თუ „ბოდა“ თეიმურაზ ბარნაველის მიხედვით), გოლგოთის ძირის მარცხნივ, ძირითადი წარწერის ნაწილია. ამას გვაფიქრებს ორი გარემოება: ა) დაშორება ამ გრაფემებს შორის ბევრად მეტია, ვიდრე ჩარჩოს სხვა ადგილებში; ბ) მარჯვენა ჩარჩოზე ხელოსანს საკმაო სივრცე რჩებოდა (დროულად თუ გაიაზრა ეს), რომ ჩარჩოს მარცხენა მხარეს წარწერა ძირამდე არ მიეყვანა და უფრო ადრე გადასულიყო მარჯვენა მხარეს, რითაც წარწერაც უფრო დაბალანსებული და მოხდენილი გამოვიდოდა). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხომ არ წარმოადგენს ეს 4 გრაფემა ცალკე წარწერის ნაწილს, რომელიც დამოუკიდებელია ძირითადი წარწერისგან?

ასე თუ ისე, დავასკვნით, რომ მარცხენა მხარეს ქვემოთ ტექსტი იმდენად დაზიანებულია, რომ ამ ეტაპზე მაინც, გადაჭრით რაიმის მტკიცება მის შინაარსთან დაკავშირებით, გამართლებულად არ მიგვაჩნია. წარწერის ამ ნაწილში გურანდუხტის სახელის მითითებას სრულად ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ ეს ნაკითხვა მეტად სათუთა და მასზე რაიმე მსჯელობის დამყარება არ არის მიზანშეწონილი.

ხომ არ შეიძლება ეს წარწერა გიორგი II ლეონიდს მივაკუთვნოთ მისი ქალიშვილის, გურანდუხტის სახელის ამოკითხვის საფუძველზე თუ არა, მოხსენიებული „გიორგის“ წოდებულების მიხედვით მაინც?

1 ჟიბიანის წარწერაში, რომელიც მხედრულ-ნარევი ნუსხურით არის შესრულებული, „გნხა“ კომპლექსს ვალერი სილოგავა ხსნის როგორც „გ(უ)არა(ან)დ(უ)ბ(ტ)ა“ (სილოგავა 1980, 132, წარწერა 148).

როგორც უკვე ვახსენეთ, სავსებით ვიზიარებთ ლია ახალაძის კონცეფციას (vide supra), რომ წოდება „აფხაზთა მეფე“ მიიღო მხოლოდ ბაგრატ III-მ. პატივცემული ავტორის მოსაზრებით, ამ წოდების მიუთითებლობა ათარილებს წარწერას დროით ბაგრატ III-მდე (ახალაძე 1999, 63-65; ახალაძე 2005, 149-153).

თუმცა, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია, რომ ხუაფის წარწერაში მონარქის წოდება, როგორც ასეთი, მითითებული, ფაქტობრივად არ არის. გამოთქმაში „მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იოხგ)დ(ს)სა“ „მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა“, ნახმარია ჯედმწიფობასას მნიშვნელობით, როგორც ქრონოლოგიური მარკერი; ამ შემთხვევაში, ტექსტის დამკვეთის უპირველესი ამოცანა იყო ეკლესიის აღშენების დათარილება, მმართველი მონარქის ტიტულის აღნიშვნა კი მეორეხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა. მსგავსი მაგალითი შეგვიძლია უკვე ნამდვილად ბაგრატიდი მონარქის ზეობის პერიოდიდანაც მოვიყვანოთ. ასე, მაგალითად, ლიხნის ტაძარში შარავანდიანი ვარსკვლავის (კომეტის) გამოჩენის ცნობილ წარწერაში (1066 წელი) ბაგრატ IV მოიხსენიება შემდეგნაირად: „მეფობასა ბაგჩაგ გიოხგის ძისასა“ - ანუ, ყოველგვარი ტიტულის გარეშე (სილოგავა 2006, 198-201, წარწერა 1).

გამოთქმა „მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იოხგ)დ(ს)სა“ რომც აღვიქვათ, როგორც *მონაჩქ გიოხგის მეფობით წოდება*, მაინც შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები, როდესაც XI საუკუნის ბაგრატიონი გიორგი მეფე (I ან II) ატარებს ასევე მინიმალისტურ წოდებას *მეფე*. ასე,

ყაურმის წარწერაში გიორგი I მოხსენიებულია როგორც „გ(იოხგ)ი მ(ე)ფე“ („ქ(ჩისტ)ე, აღ(ი)დე გიოხგი მ(ე)ფე და შვ(იღ)ნი მ(ა)თნი“).¹

გიორგი I-ს / გიორგი II-ს ლაპიდარულ წარწერებში შეიძლება რამდენადმე უფრო ვრცელი წოდებაც ჰქონოდათ:

კაცხის ერთ-ერთ წარწერაში მოიხსენიება კიდევ ერთი გიორგი მეფე, მართალია, ეპითეტ *დიდებულის* დამატებით: „წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შ(ე)წ(ყა)დე დ(იდე)ბ[უ]ღი გ(იოხგ)ი მ(ე)ფ(ე)ა“ (ვალერი სილოგავას აზრით, გიორგი I უნდა იგულისხმებოდეს; არგუმენტაცია მოყვანილი არ არის) (სილოგავა 1980, 56-57, წარწერა 37:2);

მანგლისის სიონის წარწერაში გიორგი ბაგრატიონი მოიხსენიება შემდეგნაირად: „... [მ(ე)ფ(ო)]ბ(ა)სა ღ(მხ)თ(ი)ვ-დ(ა)მყ(ა)ხ(ე)ბ(უღ)ისა გ(იოხგ)ი, ყ(ოვ)ღისა აღმოსა[ვღეთისა] ...“ (დიდი ალბათობით მოხსენიებული მონარქი არის გიორგი II და არა I, როგორც აქამდე მიიჩნეოდა).²

1 მითითებული გიორგი არის გიორგი I, ვინაიდან, იქვე, ზუსტად იგივე ხელით შესრულებულ წარწერაში მოხსენიებულია „მ(ე)ლქ(ი)ზ(ედე)კ“ კათალიკოსი (ცისკარიშვილი 1959, 30-31; ჭავჭავაძის ეპიგრაფიკული კორპუსი 2012, 127).

2 მანგლისის სიონის გვიანი მინაშენის კედელზე ამოღებულია თეოდორე ლოდომისძის წარწერა, რომელიც თამაზ გოგოლაძემ სარწმუნოდ დაათარილა გიორგი II-ისა და არა გიორგი I-ის ზეობით (წარწერაში საუბარია თეოდორეს მიერ

გიორგი III კი, ჩვენთვის ცნობილ ლაპიდარულ წარწერებში,¹ ყოველთვის ატარებს საკმაოდ ვრცელ და პომპეზურ წოდებულებას:

სამთავისის (1168 წლის): „+ ხ(ა)გო ღ(მ)თ(ა)ე(ბ)ი(ს)აო ა(ღ)იდე მ(ე)ნ მ(ი)ეიხ / დ(ა)მყ(ა)ხ(ე)ბ(უ)რი დ(ღ)იეიხი და უდ(ღ)ე(ვ)ე(ღ)ი ღ(მ)თ(ი)ვგვჰ / -გვნ(ო)ს(ა)ნი ყ(ო)ვდ(ი)სა აღმ(ო)ს(ა)ვდ(ე)თისა მ(ე)ფ(ე)თ მ(ე)ფე გ(ი-ო)ხ(ი)ი ...“ (სოხაშვილი 1968, 193, ტაბ. VII; სოხაშვილი 1973, 94-95, ტაბ. 55);

სათხის ეკლესიის კანკელის სააღმშენებლო წარწერა (1171 წლის): „... აღვ(ა)შ(ე)ნნ(ე) კ(ა)ნკ(ე)დნი ესე, დაამყ(ა)ხ(ე)ნ ღ(მ)ე(თ)მან, მ(ე)ფ(ე)თა მ(ე)ფისა გ(ი)ო(ხ)ისთ(ვ)ს და ს(ა)წს(ა)დ ფ(ი)ა)დ ც(ო)დ(ე)ნი დისა ს(უ)დისა ჩ(ე)მისა ...“ (თაყაიშვილი 1951, 159-162; გაგოშიძე 2019);

ფიტარეთის (შესადლოა, დასახელებული მეფე გიორგი IV-ც იყოს, ასე რომ, წარწერა 1160-1223 წლებით თარიღდება): „... მე, ქ(ა) ვთ(ა)ხ ქ(ა)ჭ(ი)ფ(ა)დსდე, ამ(ი)ხეჭ(ი)ბი თვთმპყ(ო)ბ(ე)დესა, / დ(ღ)იე ხის(ა), მ(ე)ფ(ე)თა მ(ე)ფ(ი)სა გ(ი)ო(ხ)ისი ...“ (სილოგავა 2000, 226, 246-247, სურ. 26; შეად. გაგოშიძე 2019, 57-58);

წულრულაშენის ჰასან არსენისძის სააღმშენებლო წარწერა (გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოხსენიებული მონარქი შეიძლება გიორგი IV კი არა, გიორგი III იყოს):

„... მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა / შ(ი)ნ)ა დიღისა გ(ი)ო(ხ)ი მ(ე)ფეთა მ(ე)ფისასა / მიწამ(ა)ნ მ(ე)ფ(ო)ბისა მ(ა)თისამ(ა)ნ ახსენის / ძემ(ა)ნ, ჰასან დ(ა) ვიწყე შ(ე)ნ / -ებ(ა)დ ...“ (სილოგავა 2000, 226-227, სურ. 27; შეად. გაგოშიძე 2019, 57-58)

ამრიგად, ვფიქრობთ, წოდებულების არსებობა-არარსებობის საფუძველზე, შეუძლებელია, ხუაფის წარწერა მაინცდამაინც გიორგი II ლეონიდს მივანეროთ, თუმცა კი, დიდი ალბათობით, ირიცხება გიორგი III და გიორგი IV ბაგრატიდები. წოდებულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხუაფის წარწერაში მოხსენიებული გიორგი შეიძლება იყოს როგორც გიორგი II ლეონიდი, ასევე გიორგი I ან II ბაგრატიდი.

კონსტანტინატის შეწირვაზე, ეს ბიზანტიური ოქროს ფული კი 1040-იანი წლებამდე არ არსებობდა) და ტაძრისადმი დამატებით სტოას მიშენებას დაუკავშირა. იმავე სტოაზე (თუმცა კი, სხვა ხელით) შესრულებულ წარწერას, გიორგის სახელის მოხსენიებით, ავტორი ასევე სააღმშენებლო წარწერის ფრაგმენტად მიიჩნევს, და შესაბამისად, ასევე 1040-იანი წლების შემდგომი პერიოდით ათარიღებს, ანუ, გიორგი II-ს მიაკუთვნებს (გოგოლაძე 2021ბ, 293-301; გოგოლაძე 2021ა). მადლობას მოვასხენებთ თამაზ გოგოლაძეს პირადი საუბრისას ამ საკითხის განხილვისთვის.

¹ წარწერებისა და შესაბამისი ლიტერატურის მითითებისთვის კიდეც ერთხელ გულითად მადლობას მოვასხენებთ თამაზ გოგოლაძეს.

*

მაშ, რა გვრჩება წარწერის დასათარიღებლად და „გიორგის“ ვინაობის დასადგენად? თუ არ ჩავთვლით სტილისტურ ანალიზს, რომელიც, ასევე, ჩვენი აზრით, ვერ გამიჭნავს ერთმანეთისგან, დავუშვათ, X და XI საუკუნის რელიეფებს.

გვრჩება, ძირითადად, პალეოგრაფიული ნიშნები და მათი ანალიზი.

სხვათა შორის, სწორედ წარწერის პალეოგრაფიამ გააკეთებინა ვალერი სილოგავას დასკვნა, რომ წარწერა XII საუკუნის II ნახევარში ამოიჭრა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წვდომა წარწერაზე შეზღუდული ჰქონდა; რთული სათქმელია, თუ რა დასკვნებს გააკეთებდა პატივცემული მეცნიერი, რომ სცოდნოდა წარწერის მარცხენა მხარეს გრაფემების ႠႠႡ / ႠႠႢ კომპლექსის არსებობის შესახებ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვალერი სილოგავას თავის შრომებში წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი პრაქტიკულად არა აქვს წარმოდგენილი; უბრალოდ ახსენებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ წარწერა შესრულებულია „მოგრძო დუქტუსით“ და „კიდურწაისრული დამწერლობით“ (სილოგავა 1972ბ, 156, წარწერა 122; სილოგავა 1980, 142, წარწერა 164; სილოგავა 2006, 282, წარწერა 20).¹

ვფიქრობთ, პალეოგრაფიული ნიშნებით (და სხვა არგუმენტო არ არსებობს) ამ წარწერის გიორგი III-ის ზეობისადმი მიკუთვნება შეიძლება დისკუსიის საგანიც გახდეს.

ხუაფის წარწერა ნაწილობრივ მაინც (sic) „მოგრძო დუქტუსით“ არის შესრულებული, მაგრამ მოგრძო დუქტუსით შესრულებული წარწერები XI საუკუნის დასაწყისშიც გვხვდება, მაგალითად, 1010-1014 წლებით დათარიღებული ბაგრატ მეფის წარწერა ნიკორწმინდაში (სილოგავა 1980, 54-55, წარწერა 35, სურ. 30-35).

ხუაფის წარწერის პალეოგრაფიული ანალიზისას, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ წარწერა 1) კიდურწაისრულ-კიდურორკაპაა; 2) ამოჭრილია განკვეთილობის ნიშნებისა ან სიტყვებს შორის დაშორების გარეშე. ჩვენი აზრით, უკვე ეს ორი გარემოება წარმოადგენს გარკვეულ საფუძველს, ხუაფის წარწერა, ყველაზე ცოტა, XI, ან, სულაც, X საუკუნით დავათარიღოთ, ყოველ შემთხვევაში, XII საუკუნეზე უფრო ადრეული დროით.

¹ სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დამატება. დასავლეთ საქართველოს ქართული ლაპიდარული წარწერების კრებული (X-XVIII სს), 156, წარწერა 122; ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, 142, წარწერა 164; სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, 282, წარწერა 20.

კიდურნაისრულობას რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ თავის სადისერტაციო ნაშრომში თავად ვალერი სილოგავამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რომ „X-XI სს. მიჯნიდან XI ს-ის შუა ხანებამდე ჩათვლით, კიდურნაისრულ დამწერლობას ქართულ ლაპიდარულ დამწერლობაში წამყვანი ადგილი უჭირავს“ (მასვე შეჯამებულად დახასიათებული აქვს ამ პერიოდის კიდურნაისრული წარწერების კლასიკური ნიმუშები) (სილოგავა 1972ა, 60-82, ციტირებულია 82-ე გვერდი).¹ ნოდარ შოშიაშვილის აზრით კი, „X ს-ის II ნახევრიდან იწყება ოდნავ შესამჩნევი კიდურნაისრულობა, რაც XI ს-ში ტიპური ხდება“ (შოშიაშვილი 1980, 33). მართალია, კიდურნაისრული ეპიგრაფიკული ძეგლები XII საუკუნეშიც გვხვდება და XIII საუკუნის დასაწყისშიც, მაგალითად, თიღვას წარწერა, სამთავისის წარწერა, ანისის წარწერა (სილოგავა 1972ა, 82), მაგრამ, სამაგიეროდ, ხუაფის წარწერისგან განსხვავებით, ამ მყარად დათარიღებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს ახასიათებს განკვეთილობა და / ან დაშორებები სიტყვებს შორის (სოხაშვილი 1968, 193, ტაბ. VII; სოხაშვილი 1973, 94-95, ტაბ. 55; რჩეულიშვილი 1960, 35-38, 96-97, ტაბ. 27; Мappь 1910) - ნოდარ შოშიაშვილის აზრით კი, სიტყვების დაცილება და განკვეთილობის ნიშნების ხმარება IX საუკუნეში იწყება; ოღონდ, „ხშირად, IX-X სს-ში, წარწერები გვხვდება ჯერ ისევ განკვეთილობის ნიშნების გარეშე და ერთმანეთისგან დაუცილებელი სიტყვებით. საბოლოოდ, განკვეთილობის ნიშნები და სიტყვების ერთმანეთისგან დაცილება მკვიდრდება წესად XI ს-დან“ (შოშიაშვილი 1980, 32).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხუაფის წარწერაში ვერ ვხედავთ გვიანი წარწერებისთვის (მაგალითად, სამთავისის, თიღვას, ფიტარეთის, ნულრულაშენის, სათხის) დამახასიათებელ სხვა სპეციფიკურ პალეოგრაფიულ ნიშნებსაც; მაგალითად, *ანის ქუდახდილობას*, ან, დამწერლობის შეწიალებულობასა თუ ხვეულობას - მართალია, შეწიალებას ვხედავთ ბაგრატის ტაძრისა და ნიკორწმინდის წარწერებში, მაგრამ შეწიალებული / ხვეული დამწერლობის უფრო მასიურად შემოსვლა, ვალერი სილოგავას აზრით, მაინც, აშკარად, უფრო გვიან, „XII ს-დან, უფრო მისი მეორე ნახევრიდან“ ხდება (სილოგავა 1972, 89-90).

ამრიგად, ვფიქრობთ, სწორედ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, რთულია, ხუაფის წარწერა XII საუკუნითა და მისი II ნახევრით დათარიღდეს; უფრო ადრეული უნდა იყოს, მაგრამ რამდენად უფრო ადრეული? რამდენად არის შესაძლებელი წარწერა X-XI საუკუნეების მიჯნაზე უფრო ადრეული დროით დავათარიღოთ?

1 საინტერესოა, რომ ხუაფის წარწერა ვალერი სილოგავას ავტორობით დაბეჭდილ ლაპიდარული წარწერების კორპუსის საძიებლებში აღნიშნულია როგორც „გიორგი II“-ის წარწერა (sic), თუმცა, თავად წარწერის თანმხლები ისტორიოგრაფიული ტექსტი (გიორგი III-ის ზეობის წლების მითითება) ეჭვს არ ტოვებს, რომ ავტორი გიორგი III-ეს გულისხმობდა.

რა დათარიღებას მივიღებთ, თუ წარწერის კიდურწაისრულობას განვიხილავთ როგორც *terminus ante quem non*?

ჩვენთვის ცნობილი, დათარიღებულია შორის უადრესი კიდურწაისრული ეპიგრაფიკული ძეგლი არის ქორეთის ღმრთაების ეკლისიის სამშენებლო წარწერა, რომელიც ქორონიკონის 220 წლით არის დათარიღებული (1000 წლის) (სილოგავა 1980, 37-38, წარწერა 11). თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოდარ შოშიაშვილი ფიქრობდა, რომ „ოდნავ შესამჩნევი“ კიდურწაისრულობა უკვე X საუკუნის II ნახევრიდან შეინიშნება (შოშიაშვილი 1980, 33). ჭყონდიდის ტაძრის ერთ-ერთი წარწერის (წარწერა მაცხოვრის გამოსახულების გარშემო, 996? X საუკუნის დასასრული?) რამდენიმე გრაფემა კიდურწაისრულია (სილოგავა 1980, 35-36, წარწერა 9; სილოგავა 2006, 53-54, წარწერა 3). აღსანიშნავია, რომ კუმურდოს 964 წლის წარწერებში უკვე ჩნდება გარკვეული დეკორატიული ელემენტები; ვგულისხმობთ ზედა განივი ხაზის მქონე გრაფემების შემთხვევაში ხსენებული ხაზების შესქელებებს დაბოლოებასთან/ებთან; იგივეა (ღონის განივი ხაზის შემთხვევაში) გურანდუხტის გამოსახულების წარწერაში (სილოგავა 1994, 39-46, 48-49). ხომ არ ვხედავთ, ამ შემთხვევაში, სწორედ კიდურწაისრულობაზე გადასვლის წინა საფეხურს? მაშ, როდის ჩნდება კიდურწაისრული დამწერლობა - შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ მისი გაჩენის პერიოდია 964-996 წლები, ანუ, X საუკუნის ბოლო მესამედი?

ღია ახალაძე დასაშვებად თვლის, კიდურწაისრულობის გაჩენის მომენტი კიდევ უფრო ადრე გადაწიოს. მისი მოსაზრებით: „კიდურწაისრულობის ზუსტად ერთი საუკუნის ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებელია, რადგან XI საუკუნის ამ სახის ძეგლები უკვე ჩამონაკვთულ, მონუმენტურ სახეს ატარებენ. საფიქრებელია, რომ ამ მიმართულებისა და მთლიანად კიდურწაისრული კალიგრაფიული სკოლის წარმოქმნას გარკვეული წინა საფეხური, გრაფემათა სტილისტური სრულყოფისა და სკოლად ჩამოყალიბების პროცესი უძლოდა წინ“ (ახალაძე 1999, 65). კიდურწაისრული დამწერლობით შესრულებული და ზუსტად დათარიღებული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან დახვეწილობით გამოირჩევა უკვე 1002 წლის ხცისის ტაძრის ანანია მთავარეპისკოპოსის სამშენებლო წარწერა, ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების სამშენებლო წარწერა, ნიკორწმინდისა და კაცხის ბაგრატი მეფის 1010-1014 წლების წარწერები, სვეტიცხოვლის ტაძრის კათალიკოს მელქისედეკ I-ის წარწერა (სილოგავა 1972ა, 62-73). ყველა მათგანი იმდენად ნატიფია, რომ ნამდვილად რთული წარმოსადგენია, ახალი კალიგრაფიული მიმართულება ასე ერთბაშად გაჩენილიყო და ასე უცებ ასეთი მწვერვალებისთვის მიეღწია - რაღაც წინასწარი, გარდამავალი ეტაპის გარეშე - „როგორც ჩანს, აღნიშნული სკოლის ჩამოყალიბება საკმაო ხნის მანძილზე მიმდინარეობდა ... მთელი X საუკუნის, ან მისი მეორე ნახევრის მანძილზე.

ამდენად, კიდურნაისრული დამწერლობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნის შუახანებში მაინც (თუ უფრო ადრე არა) უნდა ვიგულისხმოთ“ (ახალაძე 1999, 65).

კუმურდოს 964 წლის წარწერებში კიდურნაისრულობის მხოლოდ ერთგვარი ჩანასახის არსებობა შეიძლება ნამდვილად არც გამორიცხავდეს ამ დამწერლობის უფრო ადრე ჩასახვას. საქმე იმაშია, რომ, საზოგადოდ, მეტისმეტად ოპტიმისტურად გვეჩვენება პატივცემული მკვლევრის მოსაზრება, რომ კიდურნაისრული „დამწერლობის განვითარებაში დადგენილი ეტაპები საშუალებას გვაძლევს, კიდურნაისრული დამწერლობით შესრულებული დანარჩენი უთარილო წარწერები მიახლოებით დავათარილოთ ოცი-ოცდაათი და ზოგჯერ ათეული წლების ფარგლებში“ (სილოგავა 1972ა, 77). ჩვენი აზრით, ყოველთვის არ არის ადვილი, კონკრეტული წარწერის შემსრულებელი ხელოსნის ხელის ინდივიდუალური თავისებურებების ამა თუ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ტრადიციისგან გამიჯვნა. გარდა ამისა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - რამდენად სწრაფად ვრცელდებოდა საქართველოს ფარგლებში (დავუშვათ, ხუაფიდან ალავერდამდე, ან, პირიქით) კალიგრაფიული ინოვაციები და ტენდენციები? და რამდენად დასაშვებია ვიფიქროთ, რომ კალიგრაფიულ სიახლეებს ყველა ხელოსანი მაშინვე აიტაცებდა ხოლმე? ერთდროულად სხვადასხვა კალიგრაფიული სკოლის მიმდევარი ხელოსნების მუშაობა - სავსებით დამატერებელია. ფაქტობრივად, ამას უშვებს თავად ვალერი სილოგავაც: „X-XI სს. მიჯნიდან XI ს-ის შუა ხანებამდე და შემდეგაც, კიდურნაისრული დამწერლობით შესრულებული წარწერების გვერდით ვხვდებით ჩვეულებრივსა და კიდურწერტილოვანი დამწერლობით შესრულებულ წარწერებსაც“ (სილოგავა 1972ა, 80, სქოლიო 20).

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ პალეოგრაფიული სიახლეების გავრცელება-დანერგვის ტემპი საქართველოს, და, თუნდაც, დასავლურ-ქართული სამეფოს ფარგლებში არაერთნაირი იყო. აქედან გამომდინარე კი, დავასკვნით, რომ მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უთარილო წარწერის დათარიღებისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო.

ხუაფის წარწერას რომ დავუბრუნდეთ, ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი გრაფემის მოხაზულობა. თვალში საცემია არქაული, V-X საუკუნის წარწერებისთვის დამახასიათებელი (სილოგავა 1972ა, 54-55, 57) ნიშნები: *ონის* გადმოცემა ხაზგასმულად დაგრძელებული კაუჭით, *ანის* განივი ხაზის შეერთება გრაფემის ტანთან უყელოდ. მეორე მხრივ კი, სახეზეა *განის-უნის-ვინის-ლასის* ზედა შვეულთან დამატებითი ხაზებით მოხაზულობა, საზოგადოდ, აშკარა სწრაფვა დეკორატიულობისადმი (ულაზათო, მაგრამ კიდურნაისრულობა-*კიდურორჯაობა*); ამ ნიშნებით კი წარწერა ახალი ტენდენციების გა-

მომხატველია, რომელიც უფრო X-XI საუკუნეებში იჩენს თავს. იმავე პერიოდს შეესაბამება ასევე ასოების ცალ-ცალკე ამოკვეთა, განკვეთილობის ნიშნებისა და სიტყვათა შორის დაშორებების არარსებობა.

აღსანიშნავია ხუაფის წარწერის განი, რომელიც ორგან გვხდება და ორივე შემთხვევაში საკმაოდ სპეციფიკური მოყვანილობისაა და თვალში საცემად წაგრძელებული და მოგრებილი ფეხი აქვს. მსგავს განს ვხედავთ კიდევ რამდენიმე წარწერაში: კუმურდოს გუხანდუხგის გამოსახულების წახწეხა (X საუკუნის II ნახევარი) (დონის განივი ხაზის დეკორატიულად შესქელებული დაბოლოებები) (სილოგავა 1994, 39-46, 48-49); აფხაზეთში, ანუხვის წარწერებში: გიორგი ბასილის ძისა (არის განკვეთილობის ნიშნები და კიდურწარწერის სილოგავა) და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა (განკვეთილობის ნიშნები არ არის, ერთი გრაფემა კიდურწარწერისაა, ალაგ-ალაგ გრაფემების დაბოლოებები შესქელებულია) - მეორეს ვალერი სილოგავა XII საუკუნით ათარილებს, ღია ახალაძე კი „XIV საუკუნით, ან უფრო გვიანი პერიოდითაც“ (ახალაძე 2005, 161-163; სილოგავა 2006, 283, წარწერა 21);¹ პირველს კი ორივე მკვლევარი XI საუკუნეს მიაკუთვნებს (სილოგავა 1980, 64-65, წარწერა 44; ახალაძე 2005, 155-158); თანამედროვე გალის რაიონში, ისტორიულ სამურზაყანოში საგდუხგ დეოფადთა დეოფადის წახწეხა (განკვეთილობის ნიშანი, მნიშვნელოვანწილად კიდურწარწერის სილოგავას მას XI საუკუნით ათარილებს, ღია ახალაძე კი იმავე საუკუნის I ნახევრით (სილოგავა 1980, 126-127, წარწერა 130; ახალაძე 2005, 75-83.) და ხუცესის წარწერის ფრაგმენტი წელიკარიდან (განკვეთილობის ნიშნები, მნიშვნელოვანწილად კიდურწარწერის სილოგავას (XI საუკუნე) (სილოგავა 1980, 153-154, წარწერა 177; ახალაძე 2005, 89-92). განის მსგავსი მოყვანილობაა (თუმცა კი, გრაფემები სულ სხვა პროპორციებით ხასიათდება) ასევე ზემო კრიხის ფეთას, შვიდას, თევდოხეს, კვიტას, გიგოლის წახწეხებში (კიდურწარწერის სილოგავას ან განკვეთილობის ნიშნები არ აღინიშნება) (რომელთაც ვალერი სილოგავა X საუკუნით ათარილებს) (სილოგავა 1980, 39-41, 43, წარწერები 13, 14, 15, 16, 19); სავანეს (საჩხერის რაიონი) გმიხისძის წახწეხაში (განკვეთილობის ნიშნები არაა, სახეზეა კიდურწერტილოვნება) (ვალერი სილოგავამ დაათარილა XI საუკუნით) (სილოგავა 1980, 108, წარწერა 105). როგორც ვხედავთ, ამ კრიტერიუმითაც ხუაფის წარწერა X საუკუნის II ნახევრის - XI საუკუნის I ნახევრის წარწერებს ემსგავსება.

1 მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა წარწერაში არ გვაქვს განკვეთილობის ნიშნები, დაშორებები სიტყვებს შორის, ქუდახდილი ანი, გრაფემების შეწიალება თუ ხვეულობა; განით მიემსგავსება X-XI საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებს. ხომ არ შეიძლება ამ წარწერის XII ან XIV/ XIV+ საუკუნეებზე უფრო ადრეული პერიოდით დათარიღება?

დავასკვნით, რომ სწორედ პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე გამოვრიცხავთ ხუაფის წარწერის XII საუკუნის II ნახევრისადმი (გიორგი III-ის ზეობა) მიკუთვნებას; XI საუკუნის II ნახევრით (გიორგი II-ის ზეობა) წარწერის დათარიღება ასევე, საეჭვოდ გვეჩვენება. ხუაფის წარწერას, პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, უფრო X საუკუნის შუა წლებით ან II ნახევრით დავათარილებდით, ან XI საუკუნის I მესამედით-ნახევრით; მოხსენიებული „გიორგი“ კი, შესაბამისად, უფრო გიორგი II ლეონიდი უნდა იყოს, ან გიორგი I ბაგრატიდი. სამწუხაროდ, გამიჭვნა ამ ორ ქართველ მონარქს შორის, ამ ეტაპზე მაინც, პალეოგრაფიული მონაცემებით, შეუძლებლად მიგვაჩნია.

რაც შეეხება ხუაფის წარწერის ტექსტს, მას შემდეგნაირად აღვადგენდით (ოლონდ, თავს შევიკავებდით „ოდ(ე)ს ... მ(ი)სსა“ მონაკვეთში ტექსტის აღდგენისგან; რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, მაგრამ ამისთვის საჭირო ინფორმაცია შეუქცევადად არის დაკარგული):

✠ ႠႠႠႠ ႠႠ... .. ႠႠႠႠႠႠ... ..				+ ად(ა)შ(ე)ნა წ(მიდა)ე ე[სე ეკლესია] მ(ა)მ(ადმ)თ(ავ)ც(არ)მ[ან] ...			
ႠႠႠႠ ႠႠႠႠ ႠႠႠ	ႠႠ	ႠႠႠ	ႠႠႠႠ ႠႠႠႠ ႠႠႠႠႠ ႠႠႠႠႠ ႠႠႠႠ	მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა გ(იორგ)მ(ს)სა ႠႠႠႠ	ႠႠႠႠ ႠႠႠႠ	ႠႠႠႠႠႠ ႠႠႠႠႠႠ	მ(ი)სსა წ(მიდა)ო ნ(ი)ვ(ო) -ლ(ო)ზ, მ(ე)ზ ე(ყ)ავ წ(ინაშ)ე ႠႠႠႠႠႠ.
ႠႠႠႠ ႠႠႠႠ			ႠႠႠႠ ႠႠႠႠ	ႠႠႠႠ ႠႠႠႠ			
? ? ႠႠႠႠ			ႠႠႠႠ ႠႠႠႠ ႠႠ ႠႠ ႠႠ	? ? ႠႠ ႠႠ ႠႠ			

რჩევებისა და ლიტერატურისთვის გულითად მადლობას მოვახსენებთ შესანიშნავ ისტორიკოსსა და პიროვნებას, თამაზ გოგოლაძეს.

დამონებანი

ახალაძე ლია. 2005. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბილისი: ლევა.

ახალაძე ლია. 2007. „ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასია-

თებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში“. კულტურათაშორისი კომუნიკაციები #1: 32-39.

ახალაძე ლია. 2004. „ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფის ტიტულატურის შესახებ“. საისტორიო ძიებანი, ტ. VII: 26-33.

ახალაძე ლია. 1999. „ხუაფის წარწერა და აფხაზ მეფეთა ტიტულატურის საკითხი“. აფხაზეთის მოამბე #2-3: 62-67.

გაგოშიძე გიორგი. 2019. „სათხის მონასტრის წარწერა“ / “Inscription of Satkhe Monastery“. არქეოსპექტრი / Archaeospectrum 2: 56-59.

გოგოლაძე თამაზი. 2021ა. „მანგლისის სიონის მემორიალურ წარწერაში მოხსენიებული მეფე გიორგის იდენტიფიკაციისათვის“ / Gogoladze Tamazi. “For the Identification of King Giorgi Mentioned in the Memorial Inscription of Manglisi Sioni Cathedral“. წმინდა გრიგოლ ფერადის მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი. თბილისი, საქართველო. 2021 წლის 20-21 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. რედაქტორი მარიამ ჩხარტიშვილი. Saint Grigol Peradze 2nd International Scientific Conference Dedicated to the 900th Anniversary of the Battle of Didgori. Tbilisi, Georgia. September 20-21, 2021. Short Contents of the Papers. Editor Mariam Chkhartishvili. თბილისი / Tbilisi: 31-32, 147.

გოგოლაძე თამაზი. 2021ბ. „მასალები ღოდომისძეთა ფეოდალური სახლის შესახებ“. საისტორიო კრებული, 8: 282-307.

თაყაიშვილი ექვთიმე. 1951. „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები. ნაწილი მეორე“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 43: 153-175.

მიბჩუანი თეიმურაზი. 1999. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა. თბილისი.

რჩეულიშვილი ლევანი. 1960. თიღვა. შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა (ნარკვევი XII ს. ქართული ხუროთმოძღვრებიდან). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

სილოგავა ვალერი. 1972ა. დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

სილოგავა ვალერი. 1972ბ. დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დამატება. დასავლეთ საქართველოს ქართული ლაპიდარული წარწერების კრებული (X-XVIII სს). თბილისი.

სილოგავა ვალერი. 1994. კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბილისი: მეცნი-

ერება.

სილოგავა ვალერი. 2006. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისი: არტანუჯი.

სილოგავა ვალერი. 1980. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბილისი: მეცნიერება.

სილოგავა ვალერი. 1974. „ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან («ზედა წელი»)“. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4: 113-121.

სილოგავა ვალერი. 2000. „ქვემო ქართლის წარწერები (ზოგადი მიმოხილვა)“. დმანისი II. რედაქტორი ჯუმბერ კოპალიანი. თბილისი: მეცნიერება: 214-313.

სოხაშვილი გივი. 1973. სამთავისი (მასალები ტაძრის ისტორიისათვის). რედაქტორი შ. ამირანაშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სოხაშვილი გივი. 1968, „სამთავისის ტაძარი (ძეგლის ისტორია ეპიგრაფიკული მასალის შუქზე)“. მაცნე 3: 178-199.

შერვაშიძე ლეო. 1971. „აფხაზეთის სამეფოს უცნობი ძეგლები სოფ. ხუაფში (აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რ-ნი)“ / Шервашидзе Лео. “Неизвестные памятники Абхазского царства в селе Хуап Гудаутского района Абхазской АССР”. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბილისი: 94-97, 202-204.

შოშიაშვილი ნოდარი. 1980. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

ცისკარიშვილი ვასილი. 1959. ჭავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჭავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. 2012. ჭავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები. გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა. [თბილისი:] ნეკერი, 2012.

Alaexis. 2007. “Façade stone with the inscription mentioning George II of Abkhazia and his daughter Gurandukht. Sukhum Museum, Abkhazia”. August 2007. Accessed October 17, 2021. https://en.wikipedia.org/wiki/Khopi_Saint_Nicholas_Church#/media/File:George_II_fassade_stone.jpg

Авидзба В. 1967. “Любопытная страница истории”. Советская Абхазия #199 (7/X/1967).

Барнавели Теимураз. 1981. “Надпись на плите из церкви сел. Хуап Гудаутского района”. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3: 122-125.

Виноградов Андрей, Белецкий Денис. 2015. Церковная архитектура Абхазии в период Абхазского царства. Конец VIII-X в. Москва: Индрик.

Джавахов Иван. 1912. “Къ вопросу о времени построения грузинскаго храма въ Атенѣ по вновь обслѣдованнымъ эпитафическимъ памятникамъ”. Христианский Восток, том I, выпуск III: 277—297.

Ендольцева Екатерина. 2020. Архитектурная пластика Абхазии в период Абхазского царства (VIII-XI вв.). Москва: ИВ РАН.

Марръ Нико. 1910. Надпись Епифанія, католикоса Грузіи (Изъ раскопокъ въ Ани 1910 г.). С.-Петербургъ.

Гамахария Джемал. 2009. Очерки по истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней. Ред. кол.: Джемал Гамахария (гл. ред.). Тбилиси: Интеллекти.